დამოუკიდებელი აუდიტორული (BDO) ანგარიში „შპს ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ

(მოკლე რეზიუმე)

დამოუკიდებელი აუდიტორიული კომპანიის მიერ ჩატარებული სამუშაოს მოკლე მიმოხილვა (**Summary of the Work Performed, გვერდი 4-7**):

შესწავლილი იქნა: 2011 წლის 15 სექტემბრი ხელშეკრულება (ასევე, მასთან დაკავშირებული ცვლილების ხელშეკრულებები), 2014 წლის 5 სექტემბრის ქონების ურთერთგადაცემის ხელშეკრულება, საქართველოს მთავრობის დადგენილებები (მ.შ., 2009 წლის 9 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება N218 ; 2012 წლის 7 მაისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №165), 2010 წლის 20 აპრილის N22, 2012 წლის 20 იანვრის N24 და 2012 წლის 10 მაისების N25 და N213 ოქმები, შპს „ჯეო ჰოსპიტალსსა“ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის მიღების აქტები და საგადახდო ინვოისები, გატარებული პაციენტების დოკუმენტაცია/სამედიცინო ბარათები, ანტენატალური მეთვალყურეობის დოკუმენტაცია/სამედიცინო ბარათები, პაციენტების იმუნიზაციის დოკუმენტაცია (ცხრილები, ფურცლები), **ტუბერკულოზით** დაავადებულთა დოკუმენტაცია/სამედიცინო ბარათები, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ბარათები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული (მ.შ., **ინფექციური დაავადებების** მართვის) ნებართვები/სანებართვო დანართები, შეტყობინებები სერვისების მიწოდების თაობაზე, მიწოდებული სერვისები შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ჭიათურია, ზესტაფონი, გარდაბნი, მარნეული, თეთრიწყარო, წალკა, სამტრედია, ბაღდათი, გურჯაანი , საგარეჯო, დუშეთი, ყაზბეგი, მცხეთა, თიანეთი და ბორჯომი. შეისწავლეს **სამედიცინო ტრანსპორტირებისა და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებების** შესახებ მიღება-ჩაბარების აქტები და გადახდის ინვოისები და ხელშეკრულებები სამედიცინო ტრანსპორტირებისა და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებების შესახებ, ასევე, სხვა სათანადო აქტები/დოკუემენტები.

ასევე, ისინი გაეცნენ ინფორმაციას რეგიონებში სამედიცინო დახმარების **ალტერნატიული** მიმწოდებლების შესახებ და დაადგინეს:

- მცხეთის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი "ჯანმრთელი თაობა" 2011 წლიდან ახორციელებს იმუნიზაციის, ტუბერკულოზისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამებს მცხეთის, ყაზბეგის, დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში;
- შპს "ჭიათურა ქალთა კონსულტაცია" ჭიათურის მუნიციპალიტეტში ანტენატალურ მოვლას ახორციელებს 2011 წლიდან;
- შპს Med X ახორციელებს ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამას მარნეულის მუნიციპალიტეტში, 2017 წლის ნოემბრიდან
- შპს "კახეთი იონი" გურჯაანის მუნიციპალიტეტში ახორციელებს ტუბერკულოზის სახელმწიფო პროგრამას 2012 წლიდან.

ჩატარებული პროცედურებისა და მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, BDO ვერ ხედავს ვერანაირ რისკს 2011 წლის 15 სექტემბერსა და 2014 წლის 5 სექტემბერს აღებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით (გვ. 7) , რაც, ასევე, დასტურდება ცხრილი 3-ით (მ.შ., 2011 წლის 15 სექტემბრის ხელშეკრულების 3.1.7 პუნქტთან მიმართებით).

აქვე წარმოგიდგენთ დამოუკიდებელ აუდიტორულ (BDO) ანგარიშს.